ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 93

20 16 წ. "12" 09

ქ.თბილისი

შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ცოდნას (საიდენტიფიკაციო კოდი: 238730931) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. შპს ცოდნას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 300-ით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.
3.შპს ცოდნას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №14 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი	III	ოფის-მენეჯერის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
2	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	30
3	რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	90
4	სარკინიგზო გადამზიდავი	III	სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
5	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	90
6	მელიანდაგე	III	მელიანდაგის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	90
7	სავაგონო მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	სავაგონო მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	90